ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 24 დეკემბრის სხდომის

ოქმი N 15

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის 24 დეკემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 25.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ
2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ
3. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი - ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ. ბიუჯეტის პროექტი წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 1). საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან მოკლედ ისაუბრა ბიუჯეტში შეტანილ ცვლილებებზე (შარშანდელთან შედარებით). გაიზარდა სტუდენტთა სამივლინებო ფონდი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ბ.თუთბერიძემ, ე.ნადარაიამ, მ.ხაჩიძემ. ქ-ნი მანანა ხაჩიძე აღნიშნა, რომ არაფინანსურ აქტივებში გამოყოფილი 1000 ლარი არასაკმარისი იქნება იმის გავითვალისწინებთ, რომ ინგლისურენოვანი პროგრამისათვის საჭიროა წიგნების შეძენა. ამაზე საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ამ პროგრამისათვის სახელმძღვანელოების შეძენა მოხდება სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს მიერ თსუ-სთვის გამოყოფილი თანხიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტი (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენელთა ინიციატივით სადისერტაციო საბჭოზე წარმოდგენილი იყო საბჭოს დებულებაში შესატანი ცვლილებები, რაც გულისხმობდა, რომ საბჭოს სხდომაზე დაცვის კომისიის დასწრება სავალდებული არ ყოფილიყო. თუმცა ჩვენი ფაკულტეტის წარმომადგენლები წინააღმდეგნი წავიდნენ, რის გამოც მოხდა ამ ცვლილების უკან გაწვევა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შესატან ცვლილებებზე, რომელიც სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ოქმის ფორმასთან ერთად წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შესატან ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 21, წინააღმდეგი - 1, თავი შეიკავა - 3.

დაადგინეს: დამტკიცდეს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შესატანი ცვლილებები (იხ. დანართი 2).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე - მიმდინარე საკითხები. აქ განსახილველად გამოტანილი იყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული "გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების" სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა სიის განახლების საკითხი. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. ეს ინსტიტუტი დამტკიცდა 2016 წელს. ამჟამად თანამშრომელთა სიას ემატება ერთი ახალი თანამშრომელი - ასოცირებული პროფესორი კარლო აქიმიძე და ამიტომ საჭიროა საბჭოს თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭომ შუამდგომლობით მიმართოს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს იმის თაობაზე, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული "გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების" სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების სიას დაემატოს ასოცირებული პროფესორი კარლო აქიმიძე ერთი წლის ვადით, ანაზღაურების გარეშე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი